ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №9

ქ.თბილისი 30.11.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე; (შემდგომში - თავმჯდომარე)
ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი; (შემდგომში - მდივანი)
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის №55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ბაბუნაშვილი - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
რამაზ გიუნაშვილი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

მარინე ტლაშაძე - შპს სკოლა ეისის დირექტორი;
მამუკა ტლაშაძე -შპს სკოლა ეისის ლოჯისტი;
რუსუდან გოგიბერიძე - შპს კავკასიის მიზნესის სკოლის დირექტორი;
მელორ მშვიდობაძე - შპს კავკასიის მიზნესის სკოლის ხარისხის მართვის კოორდინატორი;
ეპისკოპოსი დიმიტრი (რამაზ კაპანაძე) - ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის დირექტორი;

თეა სხირტლაძე - ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის აღმასრულებელი დირექტორი;
ჯენერი არქანია - შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლა ლაშარის წარმომადგენელი;
თინათინ ვასაძე - ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
ნანა ფაღავა - შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის დირექტორი;
ინდირა ანანიძე - შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
ნათია ნიკაჭაძე - შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის დამფუძნებელი;
გიორგი ხუბულური - ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
გიორგი ჩავლეიშვილი - შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის წარმომადგენელი;
ირა შარაბიძე - შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის წარმომადგენელი;
ქეთავან ბაცანკალაშვილი - შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის წარმომადგენელი;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

მაკა ტუკვაძე
ნელი ნასყიდაშვილი;
ნოდარ ანგურიძე;
დავით ჭეიშვილი;
მიხეილ ტეფნაძე;

სხდომა დაიწყო 14:19 საათზე.
თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა ეისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის ბიზნესის სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა ინტერნატში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლა ლაშარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა ორი შუამდგომლობა. პირველი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 26 აგვისტოს №28-ე გადაწყვეტილების მეორე პუნქტში ცვლილების შეტანის საკითხი, რის შედეგადაც გასწორდებოდა ტექნიკური ხარვეზი. ლაშა მარგიშვილმა საბჭოს ასევე განუცხადა, რომ ცენტრში 2015 წლის 29 ოქტომბერს შემოსული იყო შპს გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელის №990736 კორესდონდენცია, რომლითაც დაწესებულება ცენტრს ატყობინებდა, რომ სკოლას აღარ გააჩნდა შესაბამისი შენობა სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის. წერილის თანახმად, ყველა მოსწავლე უკვე მობილობის წესით გადასული იყო სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და დაწესებულება აჩერებდა საქმიანობას. შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შპს გრიგოლ ხანძთელის სახელობის კერძო სკოლა კანდელისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის წარმომადგენელმა საბჭოს შუამდგომლობით მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით და სთხოვა, მეხუთე საკითხად შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები განეხილათ, ვინაიდან აგვიანდებოდათ სკოლის მოსწავლეთა ღონისძიებაზე. თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა, ვინმე ხომ არ იყო წინააღმდეგი, დღის წესრიგში აღნიშნული ცვლილებები შესულიყო. შუამდგომლობა არ დაფიქსირდა, შესაბამისად, საბჭომ დააკმაყოფილა წარმოდგენილი სამივე შუამდგომლობა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის ახალი დღის წესრიგი.

1. „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 26 აგვისტოს №28-ე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. შპს გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
3. შპს სკოლა ეისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის ბიზნესის სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა;
5. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
6. ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა ინტერნატში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლა ლაშარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. „ა(ა)იპ - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 26 აგვისტოს №28-ე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 26 აგვისტროს №28-ე გადაწყვეტილების მეორე პუნქტში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, დაწესებულების სახელწოდება არასწორად იყო ფორმულირებული, ნაცლვად ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლისა მითითებული იყო - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა. შესაბამისად, ცენტრი აყენებდა აღნიშნულ საკითხს საბჭოს წინაშე განსახილველად, რათა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილების მეორე პუნქტში გასწორებულიყო დაწესებულების სახელწოდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 26 აგვისტოს №28-ე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 26 აგვისტოს №28-ე გადაწყვეტილების მეორე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

2. შპს გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს გააცნო 2015 წლის 29 ოქტომბერის შპს გრიგოლ ხანძთელის სახელობის კერძო სკოლა კანდელის №990736 კორესდონდენცია, რომლითაც დაწესებულება ცენტრს ატყობინებდა, რომ სკოლას აღარ გააჩნდა შესაბამისი შენობა სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის. ყველა მოსწავლე უკვე მობილობის წესით გადასული იყო სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და დაწესებულება აჩერებდა საქმიანობას.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელს (ს/კ: 243862931) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

3. შპს სკოლა ეისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნელი ნასყიდაშვილმა. დაწესებულებას წარმოადგენდა სკოლის დირექტორი, მარინა ტლაშაძე. საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა, დასკვნის წარმოდგენისას ყურადღება ძირითად საკითხებზე გაემახვილებინა.

ექსპერტის თქმით, ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ცენტრის დირექტორის №884 ბრძანების საფუძველზე, 2015 წლის 5-7 ნოემბერს განხორციელდა. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ნელი ნასყიდაშვილი და მარიამ ხუციშვილი. ნელი ნასყიდაშვილმა საბჭოს დასკვნაში დაფიქსირებული ძირითადი ხარვეზები გააცნო:

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის (ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ბუნებისმეტყველება) საგნობრივი პროგრამების მიხედვით I-IV კლასებში გამოიყენებოდა როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასება, რაც არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

2. **მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:**

2.1 შპს სკოლა ეისის ვიზუალური დათვალიერების და სს „სამშენებლო ტრესტი N9" -სთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების და დამატებითი შეთანხმების საფუძველზე ფიქსირდებოდა ეზო 310 კვ.მ, პირველ სართულზე 170 კვ.მ და მეორე სართულზე 400 კვ.მ., სულ 570 კვ.მ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფართიდან საჯარო რეესტრში ფიქსირდებოდა მხოლოდ 400 კვ.მ (სკ. კოდი N 66.45.27.058).

2.2 სკოლაში არსებული ლაბორატორია ნაწილობრივ შეესაბამებოდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს ბრძანებას. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, ლაბორატორიის აღჭურვილობა 208 სახეობა და აღჭურვილობის ერთეულთა ჯამი 641 იყო. სკოლის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლას გააჩნდა 100-მდე სახეობის აღჭურვილობა და აღჭურვილობის ერთეულთა ჯამი შეადგენდა 400 ერთეულს. აღსანიშნავია, რომ ნაკლებად იყო წარმოდგენილი ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიის აღჭურვილობა. სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა შესყიდვის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა ლაბორატორიის ნაწილის ერთეულების შესყიდვა.

2.3 ვერ დადასტურდა გარკვეული სახელმძღვანელოების ფლობა, კერძოდ: ინგლისური ენა macmillan IV და V დონე; რუსული ენა I, II და III დონე, სამოქალაქო თვდაცვა და უსაფრთხოება VIII კლასი, ბუნებისმეტყველაბა IV, VI, ბიოლოგია X, გეოგრაფია VIII, სახვითი და გამოყენებით ხელოვნება VII, ჭადრაკი I, II, III დონე.

2.4 სკოლამ წარმოადგინა 7 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება (დანართი # 4 - 1 ფურცლად), რომლის მიხედვითაც ხუთი დღის ვადაში შემსრულებელი დაამზადებდა საევაკუაციო გეგმას.

სკოლის დირექტორმა განმსაზღვრელ შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სკოლამ ექსპერტების შენიშვნა გაითვალისწინა და წარმოადგინა სასწავლო გეგმები, რომლებშიც მითითებული ხარვეზი გამოსწორებული იყო. მისივე თქმით, განახლებულ სასწავლო გეგმებს ექსპერტები არ გაცნობიან, ვინაიდან 9 სასწავლო გეგმის შესწორება დროს მოითხოვდა და აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა აბულაძე დაინტერესდა, ხომ არ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გეგმებში შესწორებები ვიზიტის შემდეგ ნაჩქარევად იყო შეტანილი. პასუხად, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზი გასწორდა შეფასების რუბრიკებში, სადაც დაწყებითი განათლების ნაწილს შეცდომით საბაზო საფეხურის შეფასებებიც ჰქონდა მიმატებული.

14:57 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ირინა ხანთაძე.

თავმჯდომარის შეკითხვას გამოეხმაურა ნელი ნასყიდაშვილიც და განაცხადა, რომ პედაგოგებთან გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ მათ შეეძლოთ საგანმანათლებლო პროცესის განხორციელება. ექსპერტის თქმით, პედაგოგების დიდი ნაწილი საჯარო სკოლებიდან იყო და მათი შეხედულებები შეფასებასთან დაკავშირებით ემთხვეოდა დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ შეფასების პრობლემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ხშირად განმსაზღვრელ შეფასებას მოსწავლეთა მშობლები ითხოვდნენ პედაგოგებისგან, რაც თავის მხრივ აღნიშნულ პრობლემას აღვივებდა. ნელი ნასყიდაშვილმა პასუხად განმარტა, რომ განმავითარებელი შეფასების უპირატესი როლის მეტად გაცნობიერებისთვის საჭიროა სკოლა მშობლებთან მეტ კომუნიკაციას აწარმოებდეს, რის შესახებაც ვიზიტის ფარგლებში სკოლას მიეცა კიდეც რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარე ირინა აბულაძე დაინტერესდა, გეგმავდა თუ არა სკოლა პედაგოგთა პროფესიული განვითარებისთვის ზომების მიღებას. სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა შეფასების ნაწილს საკუთარ სუსტ რგოლად მიიჩნევდა და დაინტერესებული იყო პედაგოგთა ტრეინინგით.

ფართის რეგისტრაციასთან დაკავშირებით სკოლამ საჯარო რეესტრის ამონაწერი წარმოადგინა და განმარტა, რომ ვინაიდან ფართის რეგისტრაციის მომენტში სკოლას სასწავლო პროცესი ჯერჯერობით დაწყებული არ ჰქონდა, იგი დათანხმდა შემთავაზებას, გადასახადის ნაადრევად გადახდის ნაცვლად, ავტორიზაციას და პროცესის დაწყებას დალოდებოდა. ექსპერტთა მიერ ხარვეზის დაფიქსირებისთანავე, ვიზიტის ფარგლებშივე სკოლამ განაცხადი შეიტანა საჯარო რეესტრში. ნელი ნასყიდაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლის წარმომადგენლის განმარტებიდან გამომდინარე, ერთ სართულზე მდებარე სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სველი წერტილი უკვე დაწესებულების მფლობელობაში იყო.

ნელი ნასყიდაშვილმა ლაბორატორიულ აღჭურვილობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სარეკომენდაციო ჩამონათვალიდან რესურსების ნაწილი პედაგოგებს სახლიდან ჰქონდათ მოტანილი და მხოლოდ მათ ნდობაზე იყო დამოკიდებული, რამდენად შეძლებდნენ ლაბორატორიული მუშაობის წარმართვას. სკოლას აღჭურვილობის 641-დან 400 ერთეული ჰქონდა წარმოდგენილი. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლა შესყიდვებს კერძო პირისგან აწარმოებდა, რომელსაც მასწავლებელთა რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენდა მოთხოვნებს. სკოლა წარმოადგენდა ბიოლოგიის ლაბორატორიის აღჭურვილობის შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

სკოლის დირექტორმა საბჭოს განუცხადა, რომ ექსპერტთა მითითებისამებრ, სკოლამ დაამზადებინა საევაკუაციო გეგმები, რომლის ფოტოასლებიც დირექტორმა საბჭოს წარმოუდგინა.

დაწესებულებამ წარმოადგინა დასკვნაში მითითებული სახელმძღვანელოების შესყიდვის დოკუმენტაციაც. საბჭოს წევრების კითხვებზე პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა შესაბამისად განაცხადა, რომ ბიბლიოთეკის საერთო ფართი 40 კვ.მ. იყო, ბიბლიოთეკა 9:00-18:00 საათებში მუშაობდა, შაბათ კვირის ჩათვლით და კვირის ბოლოს ბიბლიოთეკარის უფლებამოსილებას ინგლისურის პედაგოგი ითავსებდა. საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, რამდენად იყო გათვალისწინებული აღნიშნული პედაგოგის დატვირთვაში ბიბლიოთეკაში მუშაობა, რადგან კვირაში 40 საათს გადაჭარბების შემთხვევაში სკოლა ვალდებული იქნებოდა ზეგანაკვეთური სამუშაო შესაბამისად აენაზღაურებინა.

ნელი ნასყიდაშვილმა ბოლოს აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მშობლებს და პედაგოგებს და სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანა მშობლების ჩართულობით მოხდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სკოლა 140 მოსწავლის მიღების სურვილს გამოთქვამდა. ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ დაწესებულება ამისთვის ყველა პირობას აკმაყოფილებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ეისისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს სკოლა ეისს (ს/კ: 417885649) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

4. შპს კავკასიის ბიზნეს სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ განაცხადი და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ნოდარ ანგურიძემ და დავით ჭეიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ ვიზიტი განხორციელდა ბათუმში და ჯგუფს ევალებოდა სტანდარტის მატერიალური და ადამიანური რესურსების კუთხით შესწავლა. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა 2015 წლის 9 სექტემბერს ცენტრში შემოსული №871071 კორესპონდენცია კონტინგენტის გაზრდის თაობაზე. პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ სკოლას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 250-ით, ფაქტობრივი გარემოებით კი სკოლაში ირიცხებოდა 256 მოსწავლე.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რატომ გადააჭარბა სკოლამ განსაზღვრულ კონტინგენტს.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 9 სექტემბერს მიმართა ცენტრს კონტინგენტის გაზრდასთან დაკავშირებით. მისი თქმით, გარკვეულ კლასებში იყო მოსწავლეების დამატების შესაძლებლობა და იმ დროს არ გაუთვალისწინებიათ კონტინგენტის საკითხი. მან აღნიშნა, რომ სკოლაში გადასვლის სურვილი გამოთქვეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებმა და დირექტორმა გადაწყვიტა, მიეღო ეს ბავშვები.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რამდენი ბავშვი იყო ახალმიღებული 6 ბავშვიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე, რაზეც სკოლის წარმომადგენლმა განმარტა, რომ 4 მოსწავლე წარმოადგენდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირს. დანარჩენი ორი კი სხვა მოსწავლეების და-ძმა იყო. მისი თქმით, სკოლამ სწავლის პროცესი დაიწყო 21 სექტემბერს.

საბჭოს წევრებმა კითხვით მიმართეს დაწესებულების წარმომადგენელს, რა აუცილებლობას წარმოადგენდა მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის გაზრდამდე ბავშვების მიღება, როდესაც შეიძლებოდა დარჩენილიყვნენ მოსწავლეები იმ სკოლებში, სადაც სწავლობდნენ და უფლების მოპოვების შემდეგ გადმოსულიყვნენ ისე, რომ კანონის დარღვევას არ ჰქონოდა ადგილი. აღნიშნულზე სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იყო მშობლების დაჟინებული მოთხოვნა, რადგან სკოლა შეღავათებს უწევდა მოსწავლეებს, აღნიშნული მოსწავლეები კი სხვადასხვა სოფლიდან იყვნენ ჩამოსულები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ განაცხადა, რომ მშობლების დაჟინებული მოთხოვნა ვერანაირად ვერ იქნებოდა კანონის დარღვევის საფუძველი.

ექსპერტებმა საბჭოს გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა:

1. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

1.1 სკოლის სამედიცინო კაბინეტი განთავსებული იყო სკოლის დარაჯისთვის განკუთვნილ ოთახში. სკოლას ჰქონდა არასტანდარტული ზომის დარბაზი, რომელსაც იყენებდნენ როგორც სპორტის გაკვეთილებზე, ასევე კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ჩატარებისას.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, სპორტის რა სახეობა ჰქონდა შერჩეული სკოლას. ექსპერტმა უპასუხა, რომ მოსწავლეებს ხრიდოლს ასწავლიდნენ, ეს იყო საბრძოლო ხელოვნება

და მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასკოლო გეგმით არ იყო გათვალისწინებული, საგანი შედეგზე გადიოდა. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ვინაიდან ეროვნული სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებდა სპორტის ამ სახეობას, შედეგების მიღწევადობა რთული დასადასტურებელი იქნებოდა, ასევე, ივარაუდეს, რომ ასეთ შემთხვევაში გოგონების ჩართულობა ნაკლები იქნებოდა. ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებზე გასვლას ადასტურებდა, როგორც ყოფილი სპორტსმენი, რაზეც თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ განაცხადა, რომ ეს არ იყო საბჭოს განხილვის საგანი.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ჭადრაკის წრეც.

1.2 ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემსწავლელი ლაბორატორია. საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, როდის მიიღო სკოლამ ავტორიზაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლამ ავტორიზაცია 5 წლის წინ გაიარა და იანვარში უწევდა სტატუსის თავიდან მოპოვება.

1.3 ლიტერატურასთან დაკავშირებით, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, თუმცა სახელმძღვანელოები მოძველებული იყო და არ იყო გრიფირებული. ხოლო 1 და 5 კლასებისთვის არცერთი სახელმძღვანელო არ იყო წარმოდგენილი.

1.4 შპს კავკასიის ბიზნეს სკოლაში არ იყო ადაპტირებული გარემო. სართულიდან სართულზე ასასვლელ კიბეზე არ იყო პანდუსები და არც სველი წერტილები იყო ადაპტირებული.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, როგორ ემსახურებოდა სკოლა სსმ მოსწავლეებს. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი პირველ სართულზე სწავლობდნენ, სველი წერტილები ამჟამად უკვე გამართული ჰქონდათ. აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს წევრებმა ითხოვეს ადაპტირებული გარემოს არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ ამჟამად მას არ შეეძლო ამ დოკუმენტების წარმოდგენა, თუმცა 2 დღეში შეეძლო გამოეგზავნა, ზედა სართულებზე კი არ დასჭირდებოდა ადაპტირებული გარემო. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები თუ იყო შედგენილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ჰყავდა ფსიქოლოგებიც, თუმცა მიაჩნდა, რომ ამ საკითხებზე ავტორიზაციის განხილვის დროს უნდა ესაუბრათ.

1.5 სკოლაში არ იყო შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნულის საპირწონედ წარმოადგინა სკოლის თანამშრომლების თანამდებობრივი მოვალეობების აღწერილობები, დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან და შპს „სანდასუფთავებასთან" გაფორმებული ხელშეკრულებები, დაცვის პოლიციის მიერ შედგენილი ობიექტის მოკვლევის აქტი და სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა N9 სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე, თუმცა არცერთი მათგანი არ შეიცავდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებს.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შენობა, სადაც სკოლა ფუნქციონირებდა 3 წლის წინ შეისყიდა და ყველა ოთახი იყო აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, მაგრამ როდესაც ქონება გადაეცათ, სრულად არ მიუღიათ ყველა ინვენტარი. მისი თქმით, ექსპერტების დაფიქსირებული ცეცხლმაქრების რაოდენობა არ შეესაბამებოდა რეალობას და სინამდვილეში სკოლას არა 5, არამედ 24 ცეცხლმაქრი ჰქონდა. ინვენტარის განახლება ყოველ წელს ხდებოდა, გარდა ამისა ახალი ხელშეკრულებები ჰქონდათ გაფორმებული.

1.6 სკოლას დამონტაჟებული არ ჰქონდა უსაფრთხოების ვიდეოსამეთვალყურეო კამერები, რითაც უნდა ხორციელდებოდეს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი. სკოლას შეძენილი ჰქონდა 3 ცალი IP კამერა, რომელთაგან ერთი იყო დამონტაჟებული კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ორი კი დასაწყობებული იყო. თუმცა არცერთი კამერა არ

აკმაყოფილებდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N1143 ბრძანებით განსაზღვრულ წესებს.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 1 ვიდეოკამერა ჰქონდათ საგამოცდო ოთახში დამონტაჟებული, 4 კამერა მოხსნილი იყო, რადგან შენობას შეზათქაშება გაუკეთდა. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დროს, იანვარში, ყველაფერი გამართული ექნებოდა.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ კამერები სკოლას სჭირდებოდა წესრიგის უზრუნველყოფისთვის და ეს არ კეთდებოდა საბჭოს წევრების გამო.

კონტინგენტთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზღვრული ოდენობის გაზრდას ითხოვდა 300-მდე.

1.7 შპს კავკასიის ბიზნეს სკოლაში საქმისწარმოების შესწავლისას დადგინდა შემდეგი: დაწესებულებაში მშობელთა შემოსული განცხადებების რეგისტრაცია ხორციელდებოდა განცალკევებულად სხვა შემოსული კორესპონდენციისგან, მშობელთა განცხადებები არ იყო თავმოყრილი ერთ საქაღალდეში, არამედ გადანაწილებული იყო სხვადასხვა საქმეებში. რაც შეეხებოდა დანარჩენ შემოსულ კორესპონდენციებს, ისინი თავმოყრილი იყო ერთ საქაღალდეში, თუმცა არ ჰქონდა დატანილი სარეგისტრაციო ნომრები. არ ხდებოდა არც ბრძანებების რეგისტრაცია.

საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სისტემა იმგვარად ჰქონდათ მოწყობილი, რომ ყველა მშობელი ხელშეკრულებით მოდიოდა და ყველა დოკუმენტი ინახებოდა პირად საქმეში. მისი თქმით, მშობელს კითხვა აღარ უჩნდებოდა ხელშეკრულების გაცნობის შემდეგ.

საბჭოს წევრმა, ხათუნა აღნიშნა, რომ მშობელი ხელშეკრულების გაფორმებამდე წერდა განცხადებას სკოლის დირექტორის სახელზე, რაზეც შესაბამისი ბრძანება უნდა გამოცემულიყო. ამისათვის საჭირო იქნებოდა მისი დარეგისტრირება და შესაბამისი ნომრის მინიჭება. ხათუნა ბარაბაძემ დაამატა, რომ მინისტრის ბრძანების თანახმად, განცხადება მოსწავლის გადაყვანის შესახებ ორივე სკოლაში იწერებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე ეს პრობლემა აღმოფხვრილი იყო.

1.8 სკოლის „შეფასების კრიტერიუმებისა და პრინციპების" მიხედვით, სასწავლო წლის ბოლოს V, VI, VII, VIII, IX და X კლასებში ტარდებოდა წლიური გამოცდა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო ენა (ინგლისური); გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას დანიშნული ჰქონდა სამი გამოცდა გამოცდების რაოდენობა ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. გარდა ამისა, ესგ-ს მიხედვით, წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე. სკოლას კი გამოცდა დანიშნული ჰქონდა მე-5 და მე-6 კლასებში.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოწვეულ იქნა პედსაბჭო, გაითვალისწინეს აღნიშნული რეკომენდაცია. აღიარეს, რომ პრობლემა არსებობდა და გადაწყვიტეს, რომ აღარ ჩატარდებოდა გამოცდები. სკოლის დირექტორმა დაამატა, რომ ზოგჯერ თავს იჩენდა ასეთი გაუთვალისწინებელი საკითხები და გამოცდების ფაქტორი ახსნა იმით, რომ იმ პედაგოგებს, ვისი მოსწავლეებიც კარგ შედეგებს აჩვენებდნენ, ემატებოდათ ხელფასი.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მასწავლებელს წინასწარ მიეწოდებინა ტესტი მოსწავლეებისთვის, მეტი თანხის მისაღებად. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის კოლექტივი აკონტროლებდა ამ პროცესს.

1.9 საკლასო ჟურნალების სიის მიხედვით წლის დასაწყისში სკოლაში ფიქსირდებოდა 261 მოსწავლე, მათგან 2 შეცდომით იყო სიაში შეყვანილი. წლის განმავლობაში სკოლიდან ამორიცხა 4 მოსწავლე და ჩაირიცხა 1. ბრძანებებიდან ჩანდა, რომ მობილობა განხორციელდა პირველი კლასიდან, ხოლო კავკასიის ბიზნესის სკოლის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს N68 ბრძანებიდან ირკვეოდა, რომ სკოლამ სწავლა დაიწყო მინისტრის ბრძანებით

განსაზღვრულ თარიღზე გვიან, რაც საჭიროებდა სამინისტროს თანხმობას და სკოლამ წარმოადგინა. გარდა ამისა, სკოლას განხორციელებული ჰქონდა კიდევ ერთი მობილობა პირველი კლასიდან, რომელსაც არ ახლდა მობილობის თანხმობა სამინისტროსგან. საბოლოოდ, სკოლაში, ვიზიტის პერიოდისთვის ირიცხებოდა 256 მოსწავლე.

საბჭოს წევრმა, ხათუნა აღნიშნა, რომ 15 სექტემბერს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ზღუდავდა ბავშვების მიღებას და თიშავდა ბაზას.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული მოსწავლე სკოლაში წინა წელს იყო ჩარიცხული, მაგრამ მშობელმა სამი დღის შემდეგ განცხადება დაწერა გადაყვანის თაობაზე. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ისევ დააბრუნა მოსწავლე მათ სკოლაში, რის შესახებაც სამინისტროს მიმართეს და მიიღეს რჩევა, აღედგინათ მოსწავლისთვის სტატუსი.

ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სტატუსის შეჩერების ცნებას კანონმდებლობა ცნობდა იმ შემთხვევაში, თუ ზედიზედ 90 დღის გაცდენა და საზღვარგარეთ წასვლა დაფიქსირდებოდა, სხვა შემთხვევაში, მშობელს არ ჰქონდა უფლება სწავლის გარეშე დაეტოვებინა ბავშვი.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველანაირი დოკუმენტაცია ჰქონდა ამ მოსწავლესთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ თუ მშობელი ადასტურებდა სკოლასთან ახლოს ცხოვრების ფაქტს, სამინისტრო გასცემდა გადაყვანის უფლებას.

2. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 ექსპერტებს გაუჩნდათ კითხვები, კერძოდ, „ზოგადი უნარებს" ასწავლიდა ისტორიკოსი, ინგლისური ენის მასწავლებელს არ ჰქონდა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი, მათემატიკას ასწავლიდა ინჟინერის კვალიფიკაციის მქონე პირი, სპორტს ასევე ინჟინერის კვალიფიკაციის მქონე ადამიანი, თუმცა მას ჰქონდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოპოვებული წარმატებები და შესაბამისი სერტიფიკატები.

თავმჯდომარე, ირინა ხანთაძე, დაინტერესდა ზოგადი უნარების საგნის სწავლებით. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იყო დამატებითი საგანი, რომელსაც ყველა მოსწავლეს ასწავლიდნენ. მოიცავდა ლოგიკას და მათემატიკის ნაწილს, ასწავლიდა პირი, რომელსაც ორი უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, მათ შორის, ერთი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - წითელ დიპლომზე და სკოლის დირექტორის თქმით, იყო განათლებული ადამიანი.

ინგლისურის მასწავლებლის უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მას იანვარში ექნებოდა დიპლომი, მანამდე სტაჟიორად მუშაობდა და დაწესებულებამ გადაწყვიტა მასთან თანამშრომლობა. სულ 3 მოქმედი ინგლისურის პედაგოგი ჰყავდათ, აქედან ერთი დეკრეტში იმყოფებოდა.

2.2 ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებები არა იყო გათვალისწინებული შვებულების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ყველა პედაგოგმა იცოდა, რომ 11 თვის განმავლობაში უნდა ემუშავა და მიეღო საათობრივი ანაზღაურება. თუმცა ამ რეკომენდაციის გათვალისწინება რთულ საკითხად არ მიაჩნდა და ივარაუდა, რომ უკვე გამოსწორებულიც იყო.

ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, რას მოიმოქმედებდა სკოლა, თუ საბჭო არ მისცემდა კონტინგენტის გაზრდის საშუალებას.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ არ გაუშვებდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაშიც კი, მისი თქმით, მისთვის არც ვაუჩერული დაფინანსება იყო განმსაზღვრელი.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ თუ იყო შესწავლილი და დადასტურებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების საკითხი. რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ნევროპათოლოგთან გადიოდნენ კონსულტაციას და ასეთ შემთხვევებში მის შეფასებას ეყრდნობოდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ, სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რომ ფიქსირდებოდა უამრავი დარღვევა, რომელიც ავტორიზაციას შეუქმნიდა საფრთხეს თუ არ გამოასწორებდნენ. ამ შემთხვევაში, რადგან საბჭო იხილავდა კონტინგენტის საკითხს, უნდა ეხელმძღვანელა არსებული ვითარების გათვალისწინებით.

15:57 საათზე სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.
სხდომა განახლდა 16:23 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის ბიზნესის სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრუ რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის ბიზნესის სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 445386546), უარი ეთქვას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ განმარტა, რომ დაწესებულებას უფიქსირდებოდა სერიოზული ხასიათის შეუსაბამობები კანონმდებლობასთან, მით უმეტეს, იმის ფონზე, რომ ექსპერტებმა დაწესებულება მხოლოდ მატერიალური კუთხით შეამოწმეს. ირინა აბულაძემ ცენტრთან დააყენა შუამდგომლობა, რომ სხდომის ოქმის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში გადამოწმებულიყო სკოლის მდგომარეობა ავტორიზაციის ყველა სტანდარტთან მიმართებით, განხორციელებულიყო მონიტორინგი და შემდეგ სხდომაზე საბჭო განიხილავდა აღნიშნული დაწესებულების მონიტოგინგის შედეგებს. საბჭოს წევრებმა ასევე მეორე შუამდგომლობა დააყენეს ცენტრის წინაშე, და სთხოვეს ცენტრს თვალყური ედევნებინა მოსწავლეების კონტინგეტის გადაჭარბების საკითხისათის - კერძოდ, იმის თაობაზე, რომ სკოლას უზრუნველეყო მოსწავლეების სხვა სკოლებში გადაყვანა და დაეცვა მისთვის საბჭოს მიერ დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. თავმჯდომარემ დაამატა, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მიმდინარე სემესტრის დასრულებამდე, რათა მოსწავლეებს მობილობის პრობლემა არ შექმნოდათ. საბჭოს წევრებმა იმედი გამოთქვეს, რომ სკოლა აქტიურად იმუშავებდა ამ მიმართულებით და დააკმაყოფილებდა სტანდარტებს.

სკოლის წარმომადგენელი დაინტერესდა, თუ ჰქონდა უფლება მოსწავლეებისთვის ეცნობებინა აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, რათა ისინი გადასულიყვნენ სხვა სკოლებში. საბჭოს წევრმა ირინა ხანთაძემ უპასუხა, რომ სკოლას კონტინგენტი განსაზღვრული ჰქონდა 250 მოსწავლით და არ უნდა გადაეჭარბებინა ამ რაოდენობას, ხოლო რომელ მოსწავლეებს გადაიყვანდა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ეს საბჭოს განსახილველი თემა არ იყო.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით განცხადება გააკეთა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრებოდა საბჭოს გადაწყვეტილებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, კონტინგენტის გადაჭარბება შეიძლებოდა ყოფილიყო ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. შესაბამისად, მსგავს ფაქტებს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. დაწესებულებებს ჯერ უნდა მიემართათ ცენტრისთვის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნით და მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ჩაერიცხათ დადგენილ მოსწავლეთა რაოდენობაზე მეტი მოსწავლეები. ლაშა მარგიშვილმა მოუწოდა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას, დაეცვათ კანონმდებლობა და არ გაეზარდათ თვითნებურად მოსწავლეთა/პროფესიულ სტრუდენტთა ან სტუდენტთა რაოდენობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგებოდა მათთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

5. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა - ნელი ნასყიდაშვილმა და ნოდარ ანგურიძემ.

ექსპერტების თქმით, პრობლემას წარმოადგენდა საპირფარეშოებთან მისასვლელი გზა, რომელიც ვიზიტის დროს უკვე გაკეთებული დახვდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, კიდევ ხომ არ ყოფილა დაფიქსირებული რაიმე ხარვეზი. რაზეც ექსპერტებმა განაცხადეს, რომ სხვა ხარვეზი არ ყოფილა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის (ს/კ: 404989704) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს მიხეილ ტეფნაძემ და მაკა ტუკვაძემ. ექსპერტების თქმით, მონიტორინგის საფუძველი გახდა ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის 2015 წლის 11 სექტემბრის კორესპონდენცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ სკოლაში დარღვეული იყო ავტორიზაციის სტანდარტები, კერძოდ, ის, რომ 2015-16 სასწავლო წელი სკოლამ დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის გარეშე; სპორტის გაკვეთილებისათვის ადაპტირებული გარემო დაეთმო კლასს, რის გამოც სპორტის გაკვეთილები ტარდებოდა ფოიეში ან საკლასო ოთახში. აღარ არსებობდა სპორტული ინვენტარი; სკოლის ვებ გვერდი არ მუშაობდა , შესაბამისად არ ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; სკოლაში არ არსებობდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვა.

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმის შემოწმების საფუძველზე ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების სისტემის მიხედვით, სკოლა ინტერნატის მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებში ფასდებოდნენ განმავითარებელი შეფასებით, ხოლო V-VI კლასებში განმსაზღვრელი შეფასებით. განმსაზღვრელი შეფასება ათქულიანი იყო და მოსწავლე სამი კომპონენტის მიხედვით ფასდებოდა - საკლასო დავალება, საშინაო დავალება და შემაჯამებელი დავალება. გაზრდილი იყო კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერი V-VI კლასებში. მოსწავლეს კლასი დაძლეულად ჩაეთვლებოდა, თუ თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) 6.0 ან მეტი იქნებოდა, დაწყებითი საფეხური მოსწავლეს საფეხური დაძლეულად ჩაეთვლებოდა თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) 6.0 ან მეტი იქნებოდა. ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლებოდა, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) იყო 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული ჰქონდა V-VI კლასები, რაც აძლევდა მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას. კლასის დამრიგებლებისა და მასწავლებლების ინტერვიუირებით დადგინდა, რომ კლასის მშობელთა კრებებზე ხდებოდა მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა შეფასების სისტემის შესახებ. მასწავლებლების კომენტარით, გამომდინარე იქიდან, რომ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა მცირე იყო, კარგად იცოდნენ კონკრეტული მოსწავლეების საჭიროება და გაკვეთილისთვის ამზადებდნენ შესაბამის რესურსებს. რამდენიმე მასწავლებელმა წარმოადგინა ბეჭდური და მეხსიერების ბარათზე არსებული სხვადასხვა კლასში გამოსაყენებელი ელექტრონული რესურსები.

ექსპერტთა შეფასებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ არ იყო დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-3 მუხლის „დ" პუნქტი.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ლოგიკურად ეროვნული სასწავლო გეგმა ამგვარად განმარტავდა საკითხს და ეს არ შეიძებოდა დარღვევად ჩათვლილიყო. ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა საფეხურის ფარგლებში განმარტავდა საკითხს.

2. **მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:**

2.1 დაწესებულებას სპორტული აქტივობისთვის განკუთვნილი ფართი არ ჰქონდა. თუმცა, სკოლაში მიმდინარეობდა სპორტული დარბაზის მშენებლობისათვის სარემონტო სამუშაოები. ექსპერტის განმარტებით დაწესებულებას სპორტის რომელიმე სახეობის არჩევა არ ევალებოდა. ძირითადად ბავშვები გამაჯანსაღებელ - სპორტულ ვარჯიშებს ასრულებდნენ, ხოლო კარგ ამინდში სპორტული აქტივობებისათვის იყენებდნენ სკოლის ეზოს, სადაც მოძრავი თამაშებით კავდებოდნენ. სპორტის პედაგოგს ჰქონდა ,,სამკურნალო ფიზკულტურა და მასაჟი"-ს კვალიფიკაცია, აგრეთვე სამუშაო გამოცდილება. სპორტის გაკვეთილებზე ხშირად იყენებდა სამკურნალო გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს, კომპიუტერთან და მერხთან სწორად ჯდომის წესებს. სკოლას ჰქონდა მწირი სპორტული ინვენტარი.

2.2 სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, სადაც იყო 104 ერთეული წიგნი, რომლებიც აღრიცხული იყო საინვენტარი წიგნში და დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას სკოლა-ინტერნატის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და არ იყო დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-4 მუხლის „გ" პუნქტი.

2.3 სკოლის შესასვლელში იყო პანდუსი. სველი წერტილი ადაპტირებული იყო სსსმ მოსწავლეთათვის. სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. არ იყო დერეფნის შიდა პანდუსები. არ იყო დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-4 მუხლის „დ" პუნქტი.

2.4 დაწესებულებას ჰქონდა 5 კომპიუტერი. ერთი კომპიუტერი შეძენილი იყო შპს ,,ელეტეკა"-სგან 2013 წლის 1 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო დანარჩენი ოთხი კომპიუტერის ფლობის დოკუმენტაცია, სკოლა-ინტერნატის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში. სკოლას ინტერნეტი მიეწოდებოდა სს ,,სილქნეტთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (2015 წლის 20 მაისი). სკოლის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციებს ასრულებდა ბლოგი skola-gorgasali.blogspot.com, და ელ-ფოსტა. სკოლის ადინისტრაციის განმარტებით, სკოლის ვებ-გვერდი იყო skola-gorgasali.ge. ვიზიტის დროს ვებ-გვერდი არ მუშაობდა. სკოლას შპს ,,კავკასის ონლაინთნ" გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება #15 (2015 წლის 10 ნოემბერი) დომენის ფლობასთნ დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით საბჭოს სხდომის დაწყებამდე შეამოწმა სკოლის ვებ-გვერდი და მუშაობდა.

2.5 სკოლას ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლის შესასვლელთან განთავსებული იყო სახანძრო ინვენტარის ფარი (2 ცალი სახანძრო სათლი და ერთი ცალი ნიჩაბი) სკოლის დერეფანში იყო 3 ცალი ცეცხლმაქრი, რომელთა ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლა-ინტერნატის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოების შემთხვევებში გასატრებული ღონისძიებათა დებულება, რომელიც დამტკიცებული იყო

სკოლის დირექტორის მიერ(ბრძანება #3–20 09.11.2015), დერეფანში გამოკრულია საგანგებო სიტუაციებში ქცევის პლაკატები.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, ჰქონდა თუ არა სკოლას ავტორიზაციის გავლის დროს აღნიშნული მატერიალური რესურსები. ექსპერტების თქმით, მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სადაც მსგავსი ხარვეზები არ ყოფილა დაფიქსირებული, თუმცა მონიტორინგის ვიზიტის დროს დაფიქსირდა რიგი ხარვეზებისა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ყოფილმა დირექტორმა გათავისუფლების შემდეგ სკოლაში არსებული ყველა დოკუმენტი და ნაჩუქარი ნივთი წაიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი რამ მომავალში აღარ განმეორდებოდა და დაინტერესდა დაწესებულებამ თუ შეიმუშავა რაიმე მექანიზმი ამის თავიდან ასაცილებლად. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დასკვნაში მითითებული ყველა ხარვეზი გამოსწორებული იყო და უკვე ყველაფერი დაწესებულების ბალანსზე იყო აღრიცხული.

საბჭოს წევრის, რევაზ აფხაზავას თქმით, სისხლის სამართლის დანაშაული იყო სკოლიდან დოკუმენტებისა და ინვენტარის გატანა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ქონება არ იყო აღრიცხული. ინცინდენტის შემდეგ სკოლამ აუდიტი მოიწვია და მოხდა ქონების აღრიცხვა.

საბჭოს წევრი ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, რატომ არაფერი მოიმოქმედა სკოლამ როდესაც ჩუქების დოკუმენტებში ასახული ინვენტარი სკოლიდან გაქრა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩუქების დოკუმენტებიც ყოფილმა დირექტორმა წაიღო, აქედან გამომდინარე, მათ არ იცოდნენ ვისგან რა გადაეცა სკოლას საჩუქრად. ამჟამად საქმეს სასამართლო განიხილავდა, თუმცა სხვა კუთხით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტრნატისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტრნატის (ს/კ: 428518017) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა გახდა მონიტორინგის საფუძველი. რაზეც ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ უპასუხა, რომ დაწესებულებამ შეიცვალა ფაქტობრივი მისამართი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა: ნოდარ ანგურიძემ და ნელი ნასყიდაშვილმა, რომლებმაც ისაუბრეს დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე:

1. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

1.1 ვიზუალური დათვალიერებით სკოლის შენობაში აღმოჩნდა 161 ინდივიდუალური, 15 ორადგილიანი მერხი და 196 სკამი. სკოლის დირექტორის განმარტებით შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ვერ წარმოადგენს, რადგან სკოლაში შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარდა კამერალური შემოწმება, რის გამოც ყველა საბუღალტრო დოკუმენტაცია და მათ შორის შესყიდვების ამსახველი დოკუმენტები წაღებული იყო მათ მიერ. შენობა იყო ორ სართულიანი, 13 საკლასო ოთახი, 4 ოთახი განკუთვნილი იყო განაყოფისთვის 1 ლაბორატორიისთვის, შენობაში ასევე იყო მცირე ზომის სპორტული დარბაზი (დაახლოებით 50 კვ.მ), სააქტო დარბაზი (77 კვ.მ), სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახი, სასადილო, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები და სველი წერტილები.

ექსპერტთა შეფასებით დარღვეული იყო „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ერთ კვირაში ადგილზე იქნებოდა ყველა დოკუმენტი, რის შესახებაც აცნობებდნენ ცენტრს.

სკოლის შენობაში იყო მცირე ზომის სპორტული დარბაზი, რომელსაც სკოლა იყენებდა მის მიერ არჩეული სპორტის სახეობა - ხრიდოლის გაკვეთილებისთვის. სკოლის დირექტორს განემარტა, როს ეროვნული სასწავლო გეგმის სპორტის სტანდარტის მიხედვით საბაზო-საშუალო საფეხურზე სკოლას უნდა ჰქონოდა არჩეული მინიმუმ სამი სპორტის სახეობა, ამასთან ესგ-ში ჩამოთვლილი სპორტის სახეობებს შორის არ იყო ხრიდოლი, რაც სკოლას დარღვევად დაუფიქსირდებოდა. სკოლის დირექტორის განმარტებით საჭიროების შემთხვევაში სკოლს ჰქონდა ადმიანური და მატერიალური რესურსი ქართული ჭიდაობისთვის, სპორტული აერობიკისთვის და აღმოსავლური ორთაბრძოლებისთვის.

1.2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით, სკოლის შენობაში პირველიდან მეორე სართულზე გადასაადგილებლად მოწყობილი იყო პანდუსები. სკოლის შესასვლელში მოწყობილი იყო პანდუსი, თუმცა საჭიროებდა რეკონსტრუქციას, რადგან გადაკეთდა შესასვლელის წინ არსებული კიბის მოედანი და ამიტომ პანდუსიც საჭიროებდა რეკონსტრუქციას, რაც

ვიზიტის პერიოდში არ იყო გაკეთებული.პირველ სართულზე არსებული სამი სველი წერტილიდან ერთ-ერთი ადაპტირებული იყო სსსმ მოსწავლეთა საჭიროებაზე.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით შეძენილი იყო რკინის კონსტრუქციები, გადარიცხული იყო სამუშაოს შესასრულებელი თანხა და აღნიშული ხარვეზი მალე გამოსწორდებოდა.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ ცენტრს მიმართა, ყურადღება მიექცია, რომ დაწესებულებას დროულად წარმოედგინა ცენტრში ის დოკუმენტები რომელთა ექსპერტებისათვის მიწოდებაც ვერ უზრუნველყო მონიტორინგის ვიზიტის დროს.

ექსპერტებმა ვიზიტისას დაადგინეს, რომ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული იყო „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

სკოლის მიერ შემუშავებულ საევაკუაციო გეგმაში მითითებული ცეცხლმაქრების რაოდენობა არ იყო სკოლაში დამონტაჟებული. დაწესებულებამ საბჭოს წევრებს წარუდგინა ცეცხლმაქრების შეძენის დამდასტურებელი დოკუმენტი.

დაწესებულებას ჰქონდა ერთი ძირითადი და ერთი სათადარიგო შესასვლელი, რომელზეც დაყენებული იყო თითო კამერა, დირექტორმა ინტერვიუირებისას განმარტა, რომ უახლოეს მომავალში ძირითად შესასვლელზე დაამონტაჟებდა მეორე კამერას, როგორც ეს მოთხოვნილი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით. სკოლის შიდა პერიმეტრი კონტროლდებოდა სამი შიდა კამერით. ვიზიტის დასაწყისში კამერების გამოსახულების ჩაწერა არ ხდებოდა, თუმცა ვიზიტის დასასრულს უკვე მოხერხდა შიდა კამერების დაკავშირება ჩამწერ მოწყობილობასთან და მიმდინარეობდა გარე კამერების დაკავშირების სამუშაოებიც. კამერების შესყიდვის დოკუმენტებიც გატანილი იყო შემოსავლების სამსახურის მიერ.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით ხარვეზი გამოსწორებული იყო და ფასადის მხარეს დამონტაჟდა მეორე კამერაც და ექსპერტებს წარუდგინა შესაბამისი ფოტომასალა. ექსპერტებმა დაადასტურეს ხარვეზის გამოსწორების ფაქტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლაშარისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ლაშარის (ს/კ: 209454142) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

17:15 საათზე საბჭოს სხდომაზე დამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:24 საათზე.

სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ ირინა აბულაძემ, სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულა თავმჯდომარის მოადგილემ - ირინა ხანთაძემ.

8. ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორიგნის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარემ ნოდარ ანგურიძემ. ირინა ხანთაძემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს მიმართა, თუ რა იყო მონიტორინგის განხორციელების მიზეზი, ნოდარ ანგურიძემ განმარტა რომ ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლამ 2015-2016 სასწავლო წლიდან შეიცვალა მისამართი, გადავიდა ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირის პირველ შესახვევში, N7-ში იჯარით, ათი წლის ვადით, 2015 წლის 3 ივლისიდან 2025 წლის 3 ივლისამდე აღებული ჰქონდა 525,02 კვ/მ ფართის შენობა, აღნიშნულ მისამართზე არსებული კორპუსის პირველ სართულზე. ექსპერტმა აღნიშნა დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი სახის გარემოებები:

1. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

1.1 შენობა იყო კეთილმოწყობილი, სუფთა და ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს დაფიქსირდა ერთი ხარვეზი, კერძოდ, დაწესებულებაში არ არსებობდა წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლის წარმომადგენელმა საპასუხოდ განაცხადა რომ მიუხედავად მექანიზმების არარსებობისა სკოლას ჰყავდა უსაფრთხოების სამსახური რომელიც ფინანსური კრიზის გამო გაუქმდა. არსებული პრობლემის გადაჭრის მიზნით 4 სექტემბრის სხდომაზე პედაგოგებმა დააყენეს საკითხი, სადაც შეთანხმდნენ ნებაყოფლობით მორიგეობაზე, შეთანხმებისამებრ გაწერეს უფლებამოსილებები და შეადგინეს სამორიგეო ცხრილი, სულ 16 პედაგოგი. თითოეული პედაგოგი დილის 9 საათიდან 15 საათამდე შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას. თინათინ ვასაძის განცხადებით, არსებულ დოკუმენტში დაწესებულების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ გაწერილი უფლებამოსილებები, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ხარვეზის გამოსასწორებლად მუშაობა უკვე დაიწყეს და უახლოეს პერიოდში ექნებოდათ მზად. მან დაამატა, რომ არსებობდა 4 სექტემბრის სხდომის ოქმი, სადაც დეტალურად იყო ასახული შეხვედრის დეტალები.

ნოდარ ანგურიძის განცადებით, ვიზიტის დროს ექსპერტებს არ უნახავთ სხდომის ოქმი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა საპასუხოდ განაცხადა რომ მხოლოდ ექსპერტების მიერ მოთხოვნილი მასალები იყო წარდგენილი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლის (ს/კ: 404908230) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

9. შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარემ ნოდარ ანგურიძემ. ირინა ხანთაძემ ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარეს მიმართა თუ რა იყო მონიტორინგის განხორციელების მიზეზი, ნოდარ ანგურიძემ თავისმხრივ განმარტა რომ შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასმა ავტორიზაცია გაიარა 2011 წელს. მისი განცხადებით, დაწესებულება განთავსებული იყო ორ შენობაში: აბაშიძის 26 ნომერსა და ზ.გორგილაძის 71 ნომერში. გასულ სასწავლო წელს სკოლამ მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის მიზნით კვლავ გაიარა ავტორიზაცია. ხოლო, 2015 – 2016 სასწავლო წლიდან სკოლა-ლიცეუმმა შეიცვალა მისამართი, გადავიდა ს.ხიმშიაშვილის N55 ნომერში. არსებული ფართი ირიცხება დაწესებულების ბალანსზე. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის გარემოებები:

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 ნოდარ ანგურიძემ შეხვედრაზე აღნიშნა რომ შენობა იყო კეთილმოწყობილი, სუფთა და ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს დაფიქსირდა ერთი ხარვეზი, კერძოდ, ინდივიდუალური მერხების რაოდენობა არ იყო მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი. დაწესებულებაში ირიცხებოდა 740 მოსწავლე ხოლო ინდივიდუალური მერხების საერთო რაოდენობა შეადგენდა 691-ს. ნოდარ ანგურიძემ საბჭოს სხდომაზე განაცხადა რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით სკოლის შენობაში შესასვლელსა და შიდა კიბეების ნაწილზე მოწყობილი იყო გადასატანი პანდუსები. ასევე, შენობის ყველა სართულზე განთავსებული იყო სველი წერტილი, პირველ სართულზე ადაპტირებული სსმ მოსწავლეებისთვის. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე აღნიშნა რომ სკოლის შენობაში განთავსებული იყო სამედიცინო კაბინეტი, აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით. თუმცა, ხარვეზი დაფიქსირდა ამ მიმართულებით, დაწესებულებას არ ჰყავდა სამედიცინო პერსონალი. შეხვედრაზე, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა რომ ვაკანსია გამოცხადებული ჰქონდათ და ორი დღის ვადაში დაიქირავებდნენ კადრს. ნოდარ ანგურიძის განცხადებით, დაწესებულებაში განთავსებული იყო 21 ცალი სამეთვალყურეო კამერა, აქედან 19 უკვე დამონტაჟებული იყო, სამი ცალი ვერ მოესწრო და უახლოეს პერიოდში მათაც დააყენებდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის (ს/კ: 245546734) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

10. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ნოდარ ანგურიძემ და დავით ჭეიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ სკოლის მისამართის ცვლილება გახდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის განხორციელების საფუძველი. ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალური რესურსების სტანდარტი. ექსპერტებმა საბჭოს წარუდგინეს დასკვნაში ასახული გარემოებები:

1. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

1.1 სკოლას განთავსებული იყო ხუთსართულიან შენობაში, სარდაფით, რომელიც მდებარეობდა ლვოვის ქუჩის 56 ნომერში. სკოლის შენობის პირველ სართულზე ასევე განთავსებული იყო ბაღი, რომელის ფართი არ იყო გამიჯნული სკოლისგან. სკოლას ჰქონდა 7 საკლასო ოთახი, რომელიც განთავსებული იყო მე-4 და მე-5 სართულებზე. სკოლას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი, აუზი და მოედანი. ამ მიზნით ხელშეკრულება იყო გაფორმებული შპს „არენასთან". სკოლას არ ჰქონდა ლაბორატორიული აღჭურვილობა. თუმცა სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება გერმანიის თურინგიის ფედერაციული მიწის სასწავლო კურიკულუმის მიხედვით, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლას არ ჰყავდა უფროსკლასელები და შესაბამისად არ ჰქონდა ლაბორატორიული აღჭურვილობა. სკოლამ ასევე წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ ერთობლივი განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დასაწყისში სკოლაში იქნებოდა მხოლოდ დაწყებითი სკოლის პირველი კლასები. ყოველ სასწავლო წელს სკოლას დაემატებოდა მომდევნო ახალი კლასი და 12 სასწავლო წლის გავლის შემდეგ მოსწავლეები მიიღებდნენ სიმწიფის ატესტატს. სკოლას ამჟამად მხოლოდ 6 კლასი ჰყავდა, რასაც ასევე დაუკავშირა ლაბორატორიული აღჭურვილობის არქონა.

1.2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით, სკოლის შენობაში სართულებს შორის და შესასვლელში არ იყო გაკეთებული პანდუსი, გარდა ამისა, სველ წერტილში მოსაწყობი იყო ხელსაკიდი. სკოლაში არ იყო გამოკრული ევაკუაციის გეგმა. სართულებზე გამოკრული იყო მხოლოდ მიმანიშნებელი ისრები, რომლებიც გასასვლელისკენ იყო მიმართული. სკოლას არ ჰყავდა მედდა ან ექიმი. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, 2012 წელს სკოლის ყველა პედაგოგმა გაიარა კურსები პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ და ყველა მასწავლებელმა იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ექსტრემალურ სიტუაციაში. ამასთან აკრძალული იყო ყველა სახის მედიკამენტის მიცემა მოსწავლისათვის. რაც შეეხება რთულ სიტუაციებს, სკოლა სასწრაფო დახმარებას იძახებდა. სკოლის ყველა სართულზე დერეფნებში კედელზე ჩამოკიდებული იყო მცირე ზომის კარადები, რომლებშიც ინახებოდა ბინტი, ბამბა, იოდი და სხვა ასეთი საშუალებები, რითიც შესაძლებელი იყო მცირე დაზიანების დროს დახმარების აღმოჩენა. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს

რაც შეეხება, სკოლის ხელმძღვანელობის განმარტებით, სკოლაში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფდა ყველა თანამშრომელი დაწყებული დირექტორიდან, დამთავრებული აღმზრდელით. შესვენებებზე მოსწავლეებთან ეზოში, თუ დერეფნებში ყოველთვის იყვნენ აღმზრდელები, რომლებიც ზრუნავდნენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. ქცევის წესები და სხვა საკითხები, რომლებიც ეხება წესრიგს ნაწილობრივ გაწერილი იყო სკოლის შინაგანაწესში და განაწესში.

1.3 დაწესებულებას ჰქონდა ერთი ძირითადი შესასვლელი, სადაც დაყენებული იყო ერთი კამერა, რომლის გამოსახულების ჩაწერაც ხდებოდა სათანადოდ და ადმინისტრაციის უფროსის კაბინეტში მონიტორზე აისახებოდა. გარდა ამისა სკოლას ჰქონდა სამი შიდა კამერა. ერთი მათგანი დამონტაჟებული იყო პირველი სართულის დერეფანში, ხოლო ორი კი სკოლის შიდა ეზოს საკონტროლოდ. სკოლას არ ჰქონდა ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი გეგმები. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით მათ მსგავსი საკითხები გაწერილი ჰქონდათ სკოლის ფინანსურ დოკუმენტში და მისი წარმოდგენის სურვილი ექსპერტებისთვის არ ჰქონდათ. გარდა ამისა, მათ აღნიშნეს, რომ პროგრამა, რომელსაც ისინი ახორციელებდნენ თავისთავში მოიცავდა განვითარების სტრატეგიებს და ასევე მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებსაც. სკოლას ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, კონტინგენტი განესაზღვრა 67 მოსწავლის ოდენობით, თუმცა ამჟამად 72 მოსწავლე ჰყავდა და შესაბამისად აჭარბებდნენ დადგენილ ნორმას.

საბჭოს წევრი, ირინა ხანთაძე დაინტერესდა აღნიშნული საკითხით. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ ეს სკოლა განსაკუთრებული შემთხვევას წარმოადგენდა და შესაბამისად პროგრამის სპეციფიკაც განსხვავებული იყო, მათ მიწერეს წერილი სამინისტროს დამატებითი მოსწავლეების მიღების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლამ თანხმობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან აღნიშნულ გარემოებაზე ვერ მიიღო.

რევაზ აფხაზავას განმარტებით, მემორანდუმში, რომელიც გაფორმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის იძლეოდა განსხვავებული პროგრამის განხორციელების საშუალებას, თუმცა სკოლა ავტორიზაციას გადიოდა ქართული კანონმდებლობის მიხედვით და შესაბამისად კონტინგენტის გადაჭარბება ნიშნავს კანონდარღვევას. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რატომ არ ჰქონდა სკოლას დროულად განაცხადი გაკეთებული კონტინგენტის გაზრდის მიზნით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ის 4 მოსწავლე რომლებიც დამატებით მიიღეს სკოლაში, სწავლობდნენ დროებით საქართველოში და შესაბამისად სკოლას არ შემოუტანია კონტიგენტის გაზრდის შესახებ განაცხადი.

საბჭოს წევრის, რევაზ აფხაზავას განცხადებით, მოსწავლეებს მომავალში შესაძლოა შექმნოდათ მიღებული განათლების აღიარების პრობლემა. მემორანდუმი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის ზოგადი სახის იყო და არ შეიძლებოდა საქართველოში განათლების აღიარების საფუძველი გამხდარიყო. რეალურად უფლებამოსილება, რომლის საფუძველზეც სკოლას უფლება ჰქონდა განეხორციელებინა განსხვავებული პროგრამა, არ არსებობდა. ექსპერტის, დავით ჭეიშვილის განცხადებით, აღნიშნული საკითხი სკოლის პირველი ავტორიზაციის დროსაც იდგა დღის წესრიგში. აღნიშნული სკოლის შემთხვევაში, გერმანიის მოქალაქე მოსწავლეებს არ ჰქონდათ პრობლემა, რადგან სკოლაში განხორციელებული პროგრამა აღიარებული იყო გერმანიის მიერ. საუბარი იყო ქართველ მოსწავლეებზე, რომლებიც სკოლის 60%-ს წარმოადგენდნენ. ამიტომაც გაიარა სკოლამ ავტორიზაციის პროცესი. საბჭოს წევრის, რევაზ აფხაზავას განცხადებით, ეს საკითხი ცენტრთან გასავლელი იქნებოდა დამატებით.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ლაშა მარგიშვილის განმარტებით, სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2011 წელს. შესაბამისად, განმეორებითი

ავტორიზაცია უწევდა 2016 წელს. 2011 წელს ეროვნულ სასწავლო გეგმაში იყო ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესით დაეგეგმა და განეხორციელებინა სასწავლო პროცესი. იმ პერიოდში დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტი და საბჭომ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ. ამჟამად, ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღნიშნული ჩანაწერი აღარ არსებობდა, შესაბამისად მან სკოლას ურჩია გაეგრძელებინა მუშაობა აღნიშნული მიმართულებით.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბიძე დაინტერესდა მიიღებდა თუ არა სკოლა კიდევ დამატებით უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეებს, თუ მათი მშობლები მიმართავდნენ თხოვნით. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ეს საკითხი დირექტორის გადასაწყვეტი იყო. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ლაშა მარგიშვილის განმარტებით, განსხვავებული სასწავლო გეგმით სწავლება არ გულისხმობდა სხვა პროცესების შეცვლის შესაძლებლობასაც. შესაბამისად, დაწესებულებაზე ვრცელდებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ნორმა.

სხდომის თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები. პირველი შეკითხვა გაჩნდა ორადგილიან მერხებთან დაკავშირებით. რაზეც სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ამ მერხებს გერმანიიდან იწერდნენ, თუმცა ავტორიზაციის სტანდარტი მოითხოვდა ერთადგილიანი მერხების ქონას. მონიტორინგის ვიზიტის შემდეგ დამონტაჟდა სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისათვის პანდუსები და დაწესებულებამ შესაბამისი ფოტო მასალაც წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ სველი წერტილი ჯერ კიდევ არ იყო ადაპტირებული. რაც შეეხებოდა საევაკუაციო გეგმასა და ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობას, ეს პრობლემა სკოლამ ასევე ვიზიტის შემდეგ მოაგვარა. ასევე მოხდა გარე პერიმეტრზე სამეთვალყურეო კამერების დამატება.

საბჭოს წევრებმა დამატებით განიხილეს სტრატეგიული გეგმის არ არსებობის საკითხი, როგორც ექსპერტთა დასკვნაში იყო ასახული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა სტრატეგიული გეგმა, რომელიც ფინანსური გეგმის ნაწილი იყო, თუმცა არ იყო ღია დოკუმენტი, შესაბამისად შეუძლებელი იყო მისი ვიზიტის ფარგლებში შემოწმება.

საბჭო ასევე დაინტერესდა საქმისწარმოების დოკუმენტებით და რა ენაზე იყო ეს დოკუმენტაცია. ექსპერტის, დავით ჭეიშვილის განცხადებით, სკოლის ყველა ძირითადი დოკუმენტი (შინაგანაწესი, დებულება, დირექტორის ბრძანება) ორივე ენაზე იყო ნათარგმნი. ლაშა მარგიშვილის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება კერძოა, ის ექცეოდა საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში და ამ შემთხვევაში ვრცელდებოდა იგივე წესი, რაც საჯარო დაწესებულებებზე, კერძოდ საქმისწარმოება სავალდებულო იყო განხორციელებულიყო ქართულ ენაზე. დამატებით, სკოლას ქართულთან ერთად შეეძლო სხვა ენაზე ეწარმოებინა დოკუმენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, რის შემდგომაც დოკუმენტები ითარგმნებოდა გერმანულ ენეაზე.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა დაინტერესებული იყო წარმატებით გაევლო ავტორიზაცია და შესაბამისად ჰქონდა მზაობა, საბჭოზე დასმული შენიშვნების გამოსწორებისა. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რიგი შენიშვნებისა მეტწილად გამოსწორებული იყო და მიმდინარეობდა რიგ საკითხებზე მუშაობა.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:25 საათზე
საბჭოს სხდომა განახლდა 18:43 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, რომ გადადებულიყო აღნიშნული საკითხის განხილვა, რადგან რიგი საკითხები დაზუსტებას საჭიროებდა. საბჭოს სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სახელით შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, ოქმის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში განხორციელებულიყო მონიტორინგი აღნიშნულ დაწესებულებაში მატერიალური რესურსის სტანდარტის გადამოწმების მიზნით, რათა საბჭოს უფრო საფუძვლიანი განხილვის შესაძლებლობა ჰქონოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის 15 დღით გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში (საიდენტიფიკაციო კოდი: 404378874) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა 19:00 საათზე დასრულდა.

თავმჯდომარე

ირინა აბულაძე

ირინა ხანთაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე